დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის და მასთან დაკავშირებული რეპროდუქციული ჯანმრთელობის პრიორიტეტები

მაღალი დონის შეხვედრის კონცეფცია

თარიღი: 7 აპრილი, 2017

ადგილი: სასტუმრო თბილისი მერიოტი

შესავალი და ზოგადი ინფორმაცია

საქართველოში დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის არსებითად გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს მთავრობამ გრძელვადიანი სტრატეგია (2017-2030) და 3-წლიანი სამოქმედო გეგმა (2017-2019) შეიმუშავა. პროცესის მაქსიმალური გამჭირვალობის მიზნით, აღნიშნული მაღალი დონის შეხვედრა, რომელიც იმართება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თაოსნობით და გაეროს მოსახლეობის ფონდისა (UNFPA) და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ხელშეწყობით, მიზნად ისახავს აღნიშნული დოკუმენტების ფართო სამსჯავროზე გატანას დასახული ამოცანებისა და სტრატეგიული ინტერვენციების ირგვლივ კონსენსუსის მისაღწევად. დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის საკითხები მჭიდროდ არის გადაჯაჭვული ოჯახის დაგეგმვისა და ახალგაზრდების რეპროდუქციული ჯანმრთელობის ხარისხის ამაღლების საკითხებთან; შესაბამისად, წარმოდგენილი სტრატეგია, შეძლებისდაგვარად, ამ ორ სფეროსაც მოიცავს. მისი მიზანია დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის, ასევე მასთან დაკავშირებული რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროების გაუმჯობესებისთვის სტრატეგიული ჩარჩოს და ინტერვენციების განსაზღვრა. დოკუმენტი ჰარმონიზებულია ბოლო პერიოდში შემუშავებულ საერთაშორისო სტრატეგიულ დოკუმენტებთან, კერძოდ, „მდგრადი განვითარების მიზნები და ამოცანები“ (2015) და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) ევროპის „სამოქმედო გეგმა სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისთვის განვითარებისთვის“ (2016).

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათწლეულებში გარკვეული პროგრესი იქნა მიღწეული, საქართველო მაინც მნიშვნელოვნად ჩამორჩება საშუალო ევროპულ მაჩვენებლებს ისეთ მიმართულებებში, როგორიცაა დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობა, ოჯახის დაგეგმვა და ახალგაზრდების სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა. შესაბამისად, დადგა რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში ახალი პოლიტიკის დოკუმენტის შექმნის საჭიროება, (*განსაკუთრებული აქცენტით დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობაზე*), რომელიც თანხვედრაში იქნება ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე მიმდინარე პროცესებთან და უზრუნველყოფს თანამედროვე გლობალური და ეროვნული სამიზნეების ჰარმონიზაციას.

წინამდებარე სტრატეგია და სამოქმედო გეგმა შემუშავდა შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობით, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) ტექნიკური მხარდაჭერით გაეროს ბავშვთა ფონდთან (UNICEF) თანამშრომლობით. დოკუმენტი აღწერს სტრატეგიულ ინტერვენციებს, რომელთა შესრულება ხელს შეუწყობს დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას ზრუნვის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე; დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებას ინოვაციური პოლიტიკის და პროგრამების გაძლიერების და გაფართოების გზით. დოკუმენტი ასევე სახავს ოჯახის დაგეგმვის და მოზარდთა სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის განვითარების პრიორიტეტულ

მიმართულებებს. სტრატეგია ითვალისწინებს, რომ 2030 წლისთვის ადგილი აღარ ჰქონდეს დედათა და ახალშობილთა სიკვდილის, ან ბავშვთა მკვდრადშობადობის ისეთ შემთხვევებს, რომელთა პრევენციაც შესაძლებელია. ყველა ბავშვი სასურველი იქნება და შესაძლებელი გახდება ყველა არასასურველი ორსულობის თავიდან აცილება შესაბამისი განათლების და მაღალი ხარისხის ინტეგრირებულ სერვისებზე სრული ხელმისაწვდომობის გზით. სტრატეგია საერთაშორისო დონეზე აღიარებული ისეთი პრინციპებით ხელმძღვანელობს, როგორიცაა ადამიანის უფლებები, გენდერული თანასწორობა და გენდერული სენსიტიურობა, რეპროდუქციული ჯანმრთელობის უწყვეტობა სიცოცხლის განმავლობაში, ზრუნვის და სამედიცინო მომსახურების ხარისხი.

3 წლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც წინამდებარე სტრატეგიის ჭრილში მომზადდა, წარმოადგენს ჩარჩო დოკუმენტს დედათა და ახალშობილთა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის/ოჯახის დაგეგმვის სფეროში მომდევნო სამი წლის განმავლობაში დაგეგმილი კონკრეტული ინტერვენციების განსახორციელებლად.

2016 წელს საქართველომ უმასპინძლა საკონსულტაციო შეხვედრას აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონის 17 ქვეყნის მონაწილეობით, რომელიც UNFPA რეგიონული ოფისის და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თანამშრომლობით გაიმართა. მონაწილეებმა განიხილეს და შეთანხმდნენ სამომავლო ნაბიჯებზე ეროვნული სამოქმედო გეგმების შემუშავებისათვის. მნიშვნელოვანია, რომ ამ შეხვედრიდან ერთი წლის თავზე საქართველოს უკვე მზად აქვს ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა გლობალური და რეგიონული ვალდებულებების შესრულებისათვის დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის სფეროში, რაც სიცოცხლის განმავლობაში რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის უწყვეტობის პრინციპის და ეროვნული პრიორიტეტების კონტექსტშია განხილული.

მიზანი და ამოცანა

შეხვედრის მთავარი ამოცანაა საქართველოს „*დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის სტრატეგიის*“ დოკუმენტის პრიორიტეტების წარდგენა დაინტერესებული მხარეების ფართო წრისთვის; ასევე, მრავალსექტორული თანამშრომლობის განმტკიცება სტრატეგიის მიზნების/ამოცანების მისაღწევად საქართველოს მთავრობის მიერ აღებული საერთაშორისო და ეროვნული ვალდებულებების შესასრულებლად.

კონკრეტული ამოცანები:

- პოლიტიკის შემმუშავებელი პირების უკეთ ინფორმირება და მათი პოლიტიკური მზაობის ამაღლება სტრატეგიის მიზნების და ამოცანების მისაღწევად; ასევე, ადვოკატირება სტრატეგიის სრული განხორციელებისათვის;
- დაინტერსებული მხარეების ინფორმირებულობის ამაღლება სტრატეგიის პრიორიტეტების მნიშვნელობის თაობაზე საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად;
- პოლიტიკური მუხტის შენარჩუნება და გაძლიერება დედათა და ახალშობილთა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის/ოჯახის დაგეგმვის სფეროში პოლიტიკისა და პროგრამების გაძლიერებისათვის საქართველოს ყველა მოქალაქისთვის ხარისხიანი და ინტეგრირებული სერვისების მიწოდების მიზნით.

მონაწილეები

ღონისძიებას დაესწრებიან დაინტერესებული მხარეები და სტრატეგიის განმახორციელებელი პირები; მათ შორის: სამთავრობო უწყებები - შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები; პარლამენტის წევრები, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის

სპეციალისტები, პროფესიული ასოციაციების, აკადემიური წრეების, სამოქალაქო საზოგადოების, გაეროს სააგენტოებისა და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მოსალოდნელი შედეგი

ეროვნული კონსენსუსი *2017-2030 წწ საქართველოს დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სტრატეგიის და სამწლიანი სამოქმედო გეგმის* მიზნების, ამოცანების და სტრატეგიული ინტერვენციების ირგვლივ, ეროვნული პრიორიტეტების შესაბამისად, რომელიც წარმატებული დანერგვის შემდგომ, რეპროდუქციული ჯანმრთელობის ყველაზე მაღალი ხელმისაწვდომი სტანდარტი უნდა გახდეს საქართველოს ყველა მოქალაქისთვის.

წინასწარი დღის წესრიგი

10:30	ჩაი, ყავა
11:00 – 11:20	გახსნა და მისალმება
	დავით სერგეენკო, *საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი.* **ალექსანდრე ჯეჯელავა,** საქართველოს ვიცე-პრემიერი; *განათლებისა და მეცნიერების მინისტრი.* **აკაკი ზოიძე,** *საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე.* **რევაზ ჯაველიძე**, *სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე.* **ალანა არმიტაჯი**, *რეგიონული დირექტორი, გაეროს მოსახლეობის ფონდის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონული ოფისი (UNFPA EECARO).* **ლაილა ომარ გადი,** *UNICEF წარმომადგენელი საქართველოში.* **მარიან ივანუშა,** *ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი.*
11:20 – 11:50	საქართველოს დედათა და ახალშობილთა სტრატეგიის და მასთან დაკავშირებული რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხების წარდგენა. **ნინო ბერძული**, *საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე*
11:50 – 12:10	სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ეროვნული სტრატეგიების/გეგმების განხორციელების ხელშეწყობა. **თამარ ხომასურიძე**, *მრჩეველი სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებში, გაეროს მოსახლეობის ფონდის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონული ოფისი (UNFPA EECARO).*
12:10 - 12:30	სკაიპ-კონფერენცია - მეან-გინეკოლოგთა ევროპული საბჭო და კოლეგია (EBCOG).
12:30 – 13:00	ღია დისკუსია
13:00	ფურშეტი